სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/133

ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ანგარიშების (შუალედური) მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, „ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 თებერვლის №01-02/15 ბრძანების, „ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 მარტის №06-01/25 დადგენილების, პროექტის ხელმძღვანელების/მენეჯერების: ასიე ცინცაძის (MES 2 25 0001060805, 03.09.2025), გაიოზ ფარცხალაძის (MES 5 25 0001278997, 02.10.2025), ვლადიმერ ბალაძის (MES 3 25 0001349211, 15.10.2025), ირაკლი კორძაიას (MES 5 25 0001137597, 15.09.2025), ლაშა ხოზრევანიძის (MES 5 25 0001291244, 06.10.2025), ლევან ტარიელაძის (MES 4 25 0001289822, 06.10.2025), ნინო კიკნაძის (MES 9 25 00011115630, 11.09.2025), ნუნუ კუტალაძის (MES 6 25 0001143889, 15.09.2025), რუსუდან დუმბაძის (MES 2 25 0001140725, 15.09.2025), ქეთევან ბერიძის (MES 6 25 0001197132, 22.09.2025), შორენა ვაშაძის (MES 9 25 0001216232, 24.09.2025) სამსახურებრივი ბარათებისა და მოხსენებების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ს **2024-2025 წლის** მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელმძღვანელების/მენეჯერების მიერ წარმოდგენილი **პროგრამული ანგარიშები (შუალედური):**

1.1. **მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით:**

ბ) „ექვივარიანტული შეიპები და ჰომოლოგიები“ ხელმძღვანელი/მენეჯერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი **ვლადიმერ ბალაძე.** (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი**);

1.2. **ინჟინერიის, ტექნოლოგიების მიმართულებით:**

გ) „**შეკუმშული ღეროების კრიტიკული ძაბვების მნიშვნელობის განსაზღვრა მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ არეში**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი - ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი **გაიოზ ფარცხალაძე** (წინამდებარე დადგენილების **N2 დანართი**);

1.3. <u>აგრარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

დ) „**აჭარის რეგიონში მანდარინის ნარგაობით დაკავებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება ბიოპრეპარატების გამოყენებით**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნუნუ კუტალაძე** (წინამდებარე დადგენილების **N3 დანართი**);

ე) „**ძაღლყურძენასებრთა ოჯახის კულტურებზე გავრცელებული Aternaria-ს გვარის აგრესიული სახეობების გამოვლენა და მათი გენომის გაშიფვრა ახალი თაობის ტექნოლოგიების გამოყენებით**”. ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **რუსუდან დუმბაძე** (წინამდებარე დადგენილების **N4 დანართი**);

1.4. <u>ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:</u>

ვ) „**მოსახლეობის სოციალური რისკების წარმომქმნელი ფაქტორების კვლევა და მართვის შესაძლებლობების შეფასება ინდივიდუალურ და სახელმწიფო დონეზე**” ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი **ასიე ცინცაძე** (წინამდებარე დადგენილების **N5 დანართი**);

1.5. <u>ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ი) „**დამოუკიდებელი საქართველო და ევროპა (1991-2003)**” ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **ლევან ტარიელაძე** (წინამდებარე დადგენილების **N6 დანართი**);

1.6. <u>სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:</u>

კ) „**სტუდენტთა ადაპტაციის ფსიქოლოგიური ასპექტები: ადაპტაციის სირთულეები და მისი გავლენა სწავლის შედეგებზე**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი -იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი **ქეთევან ბერიძე** (წინამდებარე დადგენილების **N7 დანართი**);

ლ) „**რუსული რბილი ძალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში და საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია რეგიონში რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ლაშა ხოზრევანიძე** (წინამდებარე დადგენილების **N8 დანართი**);

1.7. <u>მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით:</u>

მ) „**ალცჰაიმერის დაავადება გენეტიკური პოლიმორფიზმის გათვალისწინებით**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი **შორენა ვაშაძე** (წინამდებარე დადგენილების **N9 დანართი**);

1.8. <u>ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით:</u>

<u>ნ)</u> „**სოფლად კერძო საკარმიდამოზე ტურიზმის ბიზნესის ინტენსიური და მდგრადი განვითარების ორგანზაციულ-ეკონომიკური მექნიზმების /ალგორითმების შემუშავება რეგიონალურ დონეზე მთიანი აჭარის სოფლების მაგალითზე**“ ხელმძღვანელი/მენეჯერი

ტურიზმის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ირაკლი კორძაია** (წინამდებარე დადგენილების **N10 დანართი**);

1.9. <u>ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით:</u>

ო) **„აჭარა-გურიის თერმული წყლების და მათი თანმხლები აირების კვლევა, ბუნებრივი რესურსების მართვის მიზნით“** აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ნინო კიკნაძე** (წინამდებარე დადგენილების **N11 დანართი**);

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების ხელმძღვანელებს, პროექტების განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით შესაბამის ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**